



სამედიცინო

აქტივობა





ვიზო გორგილაძე. თხილვანა

პროექტზე მუშაობდნენ: ლელი ბლანგონრაჰოვა
ფოტოგრაფი, ფოტორედაქტორი

ნათია მსხილაძე
ტექსტის რედაქტორი

თამარ გორგოძე
ტექსტის თანარედაქტორი

მაკა მაღლაკელიძე,
გიორგი კოკალეიშვილი
ორგანიზატორები

4

მედიცინა და ხელოვნება

8

**ნაბელლაჰი,
ჩხაკოურა, ძვაბლა**
ლელა ყორიული
ნინუცი ფანგანი

14

კონნარი, სურები
თამაზ ოძრუაშვილი
საბა ზაქრაძე

20

საჭამიასერი, ვანომლეთი
ლიკა კეკელიძე
სალომე მუმლაძე

24

ინტერვიუ
ლედი ბლაგონრაჰოვა



მედიცინა და



მანანა სისვაძე



მაკა ზარნაძე



საბა ზაძრაძე

მედიცინის და ხელოვნების ინტეგრაციით, ახალი ცოდნა და შემოქმედებითი აზროვნება იბადება, რაც საზოგადოებაში, მით უფრო ახალგაზრდა თაობაში, მეცნიერების პოპულარიზაციას უწყობს ხელს.

მედიცინისა და ხელოვნების ურთიერთკავშირი, ემპათიის განვითარების და კრიტიკული აზროვნების ქმედითი საშუალებაა, რაც სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს გამოიმუშაოს ინტერდისციპლინური ხედვა. ეს კი თავის მხრივ, არჩეული სფეროს მიმართ უმუშავებს უნარს უფრო სწრაფი, გააზრებული დასკვნების გამოტანაში.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეები მეცნიერებით, რომ მეტად დაინტერესდნენ პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემიამ (თსა), პროექტი „მედიცინა და ხელოვნება“ შექმნა, რაც „საბავშვო უნივერსიტეტის“ ჩამოყალიბებას მოიაზრებს. პროექტის ინიციატორებს მედიცინისა და ხელოვნების სინთეზი წარმოადგენს. ამ ორი სფეროს ურთიერთგავლენით, სკოლის დამამთავრებელი კლასების (X, XI, XII) მოსწავლეებს შეუძლიათ სამეცნიერო ინფორმაცია მედიცინისა და ხელოვნების შესახებ, ინტეგრაციული, სახალისო და თვალსაჩინო ფორმით მიიღონ.

იდეა მალევე განხორციელდა, პროექტი შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნობრივი საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა და ისტორიის ათვლა 2019 წლიდან დაიწყო.

თსა-მ პროექტის მოსამზადებელ ფაზაში, მედიცინისა და ხელოვნების კავშირისა თუ ზეგავლენის ბევრი მაგალითი მოიძია. ალბათ, ბევრისთვის ცნობილია, რომ კაცობრიობის ისტორიაში არსებული უმძიმესი პანდემიები და ეპიდემიები ხელოვნების ნიმუშებშია ასახული.

„ექიმის საქმიანობა ღრმა ცოდნის, კომპეტენციის, თანაგრძნობის და კომუნიკაციის ერთობლიობაა. თითოეუ-



პარვარდის, ლეიდენის და სხვა უნივერსიტეტების მედიცინის სკოლების სასწავლო პროცესში ხელოვნების ინტეგრაცია სულ უფრო პოპულარული ხდება. მედიცინისა და ხელოვნების ინტეგრაციის გზით სტუდენტი ინტერდისციპლინური აზროვნებისა და სხვადასხვა შესაძლებლობის განხილვის უნარ-ჩვევებს იძენს...

ეკატერინე კლდიაშვილი

თსა-ს ვიცე-რექტორი კვლევის მიმართულებით

ლი პროფესიონალი უნიკალური და მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სტილით მოქმედებს.

რა გამოარჩევს ექიმს სხვა პროფესიის წარმომადგენლებისგან? ამ კითხვაზე უნივერსალური და ამომწურავი პასუხი არ არსებობს. ჩვენ კრიტიკულ აზროვნებას და ემპათიას გამოვარჩევდით. შესაძლებელია მედიცინის სკოლის სტუდენტს კრიტიკული აზროვნება ვასწავლოთ? ემპათია გამოვუმუშაოთ?

სულ უფრო პოპულარულია მედიცინის სკოლების სასწავლო პროცესში ხელოვნების ინტეგრაცია; ამის მაგალითებს წარმოგვიდგენს ჰარვარდის, ლეიდენის და სხვა უნივერსიტეტები. მედიცინისა და ხელოვნების ინტეგრაციის გზით სტუდენტი ინტერდისციპლინური აზროვნებისა და სხვადასხვა შესაძლებლობის განხილვის უნარ-ჩვევებს იძენს. ხელოვნება ხომ კაცობრიობის ფაქტობრივი გამოცდილების, და ასევე ინდივიდუალური მოვლენის აღქმის, მასზე დაკვირვების და გააზრების

ხელოვნება



ეკატერინე კლდიაშვილი



მედეა კუსიანი



მიქაელ გოგია

ეფექტურ შესაძლებლობას წარმოადგენს. ის მედიცინის განვითარების მათიანედაც შეიძლება აღვიქვათ. ხელოვნების ნიმუშები ასახავს როგორც ცალკეულ ექიმებს, პაციენტებს, კლინიკებს, ანატომიურ თეატრს, პალატას თუ ექიმის კონსულტაციის სცენას. გარდა ამისა, ხელოვნების ნიმუშებში წარმოდგენილი პერსონაჟების დამახასიათებელი ნიშნების ანალიზით შესაძლოა კონკრეტული დაავადებაც ამოვიცნოთ“- ამბობს პროექტის ავტორი, თსა-ს ვიცე რექტორი კვლევის მიმართულებით ეკატერინე კლდიაშვილი.

დიახ, დაავადებები, რომლებიც ოდითგან კაცობრიობას შიშს ჰგვრიდა, ცნობილი მხატვრების შედეგებს შორის არის. უფრო მეტიც, ზოგიერთი ხელოვნების ნარმატება სწორედ, მისი ანატომიური თავისებურებებით იყო განპირობებული. “ჩემთვის, მედიცინა და ხელოვნება ყოველდღიური წეს-ჩვეულებაა. მედიცინას, რენესანსის ეპოქიდან დაწყებული ხელოვნების სხვადასხვა დარგში ვსწავლობ და ვვითარდები სხვადასხვა მიმართულებით. პროექტმა მომცა ის ცოდნა, რომ უფრო გავიფართოვე თვალსაწიერი, ბევრი ახალი რამ გავიგე მედიცინისა და ხელოვნების თანაკვეთის შესახებ და საკუთარი თავიც განვაავითარე“ - ამბობს პროექტის მონაწილე, თსა-ს სტუდენტი მიქაელ გოქიჯე.

პროექტი არა მხოლოდ თეორიულ, არამედ პრაქტიკულ სამუშაოებსაც მოიცავდა. მოსწავლეებს თეორიულ ცოდნასთან ერთად, რომელიც ლექცია-სემინარების ფორმატში იმართებოდა, შესაძლებლობა ჰქონდათ მარტივი ექსპერიმენტი თსა-ს ლაბორატორიაში შეესრულებინათ. პროცესი საკმაოდ ინოვაციური იყო, მოსწავლეები ხატავდნენ ბაქტერიებით და შემდეგ, უკვე სხვადასხვა ნიმუშს მიკროსკოპის ქვეშ ათვალთვლებდნენ.

მიკრობიოლოგიურ ლაბორატორიაში საკვებ ნიადაგებზე დათესილი სხვადასხვა ბაქტერია საოცარ ფერთა გამას ქმნის, რაც შთაგონების წყაროდ იქცა ხელოვნებით გატაცებული ბევრი მკვლევრისთვის და საფუძველი ჩაუყარა მიმდინარეობას - მიკრობულ ხელოვნებას. სწორედ მიკრობულ ხელოვნებასთან ზიარების საშუალება ეძლეოდათ პროექტის მონაწილეებს.

პროექტის ფარგლებში დაგროვილი მედიცინისა და ხელოვნების ინტეგრაციის მაგალითებს ჩვენ ამჟამად წარმატებით ვიყენებთ აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა სასწავლო კურსში. მსგავსი ინტეგრაციის მაგალითებით სტუდენტებს შეიძლება დავანახოთ, რომ ყოველი დაავადების უკან დგას პაციენტი, თავისი ფსიქო-სოციალური პრობლემებით. ასეთი მიდგომით სტუდენტები მომავალში უკეთ შეძლებენ პაციენტებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას“ - აღნიშნა თსა-ს ფაკულტეტის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროექტის კოორდინატორმა მაკა ზარნაძემ.

საინტერესო იყო პროექტის დასკვნითი ნაწილი, რომელიც მოსწავლეების მხრიდან პრეზენტაციის წარდგენას ითვალისწინებდა. მათ მედიცინის კონკრეტული თემებისა და ხელოვნების ინტეგრაციის საკუთარი ხედვა წარმოადგინეს. „სამედიცინოს სტუდენტების რთულ და ვიტყვოდი დამღლეულ ყოფაში, პროექტი „მედიცინა და ხელოვნება“ იქცა იმ ნათელ წერტილად, რომელმაც გაახალისა და ნათელი ფერები შემატა რუტინას. ამ პროექტის დახმარებით შევძელი დამენახა, რომ ყოველდღიურობის უკან დგას ხელოვნება და უფრო მეტიც, თავად მედიცინა არის დაფუძნებული ამ უდიდეს შემოქმედებაზე. მასწავლა როგორ უნდა დამენახა ის დეტალები, რომლებსაც ალბათ უმეტესობა ჩვენგანი არც კი აქცევს



ყურადღებას. არადა, ხელოვნება მედიცინის დარგში ყოველი ახალი ნაბიჯის გადადგმისას გვხვდება“ - ამბობს საბა ზაქრაძე, რომელიც პროექტის მონაწილე და ახლა უკვე თსა-ს სტუდენტია.

პროექტს თავისი ინოვაციურობიდან გამომდინარე წარმატებისკენ სვლა არ შეუჩერებია და 2021 წელს, განსხვავებული ფორმატით და სახელწოდებით - “მედიცინა, ხელოვნებაში ასახული ისტორია” კვლავ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით გაგრძელდა. პროექტის სამიზნე ჯგუფი უცვლელად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების X-XI-XII კლასის მოსწავლეები იყვნენ, რომლებიც ესწრებოდნენ საჯარო ლექციებს და პროექტის დასასრულს, მათი ჩართულობით სამეცნიერო კონფერენციაც გამართა. ცხადია, პროექტის მთავარი მიზანია, ახალგაზრდა თაობების მეცნიერებით დაინტერესება უცვლელი იყო. „ჩემი აზრით, ეს პროექტი არა მარტო მომავალი მედიკოსებისთვის, არამედ ნებისმიერი ადამიანისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანია. ის გვაჩვენებს, რომ მედიცინა ყველგან და ყოველთვის, ყოველი ჩვენგანის გარშემოა“ - ამბობს მედეა კუსიანი, რომელიც თსა-ს სტუდენტი და პროექტის ერთ-ერთი მონაწილეა. პროექტის ფარგლებში ხელოვნებით გადმოცემული შემოქმედება და მისი ანალიზი სახალისო და ინტერაქციული ფორმით იყო წარდგენილი, რაც მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევდა აემულღებინათ ცნობიერება ხელოვნების ნიმუშების ანალიზით, მედიცინის ისტორიის პრეზენტაციით, მეცნიერების როლის, კვლევისა და ინოვაციების შესახებ. პროექტის წარმატებაზე და ახალგაზრდების მედიცი-

“

პროექტი „მედიცინა და ხელოვნება“ იყო ერთ-ერთი და ვფიქრობ, სწორი მოტივაცია, ჩემი მომავალი პროფესიის არჩევისას. მიღებულმა გამოცდილებამ დამანახა, რომ ფართო სპექტრით დამეწყო მედიცინის განხილვა და ნათელი გახდა რამდენად შესაძლებელია სრულიად განსხვავებული პროფესიების შერწყმით შევქმნათ სამეცნიერო დარგი, სადაც სამედიცინო ისტორია ხელოვნებით იწერება.

მანანა სისვაძე,

თბილისის სამედიცინო აკადემიის სტუდენტი

ნით დაინტერესებაზე, ის ფაქტიც მეტყველებს, რომ პროექტის მონაწილე მოსწავლეებისგან რვა უკვე თბილისის სამედიცინო აკადემიის სტუდენტია.

მედიცინა ის სფეროა, რომლის მოკლედ დახასიათებაც პრაქტიკულად შეუძლებელია. იმისთვის, რომ ფართო საზოგადოებაში მედიცინისა და ხელოვნების სინთეზით მეცნიერების პოპულარიზაცია მოხდეს, თბილისის სამედიცინო აკადემია მიზნების განხორციელებას კიდევ უფრო მასშტაბურად გეგმავს. ეს ყველაფერი ცხადია იმ მოსწავლეების სიმრავლით განისაზღვრება, რომლებიც პროექტის დახმარებით მეცნიერებით და სამეცნიერო კარიერით ინტერესდებიან.

შეიძლება მედიცინის თუ მისი ცალკეული ასპექტის მარტივად და ამავედროულად ემოციურად მიწოდება საზოგადოებისთვის? დიახ! სწორად ამ მიზნით ჩამოყალიბდა პროექტი „მედიცინა და ხელოვნება“, რომელიც უკვე მესამედ დაფინანსდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნობრივ საგრანტო კონკურსში. პროექტის განხორციელება დაიწყო 2023 წლის 1 ოქტომბერს და დასრულდება 2024 წლის 30 სექტემბერს. ამჟამად მიმდინარეობს პროექტის მონაწილეთა რეგისტრაცია.





ნაბელლავი, ჩხაკოურა, ქვაბლა



ნინუსი ფანბანი
ლელა ყორიაული

ეძიბი, ეძთანა და კატარა მაცნივარი



ნაბელლავი - სოფელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში. სიმწვანეში ჩაფლული ხის სახლები, ფერადი ჭიშკრები და ეკოლოგიურად სუფთა გარემო. აქვეა სამედიცინო ამბულატორიაც. ისიც საცხოვრებელი სახლების მსგავსად ხისაა. ერთი შეხედვით შეიძლება ცარიელი და უსიცოცხლო მოგეჩვენოთ, თუმცა როდესაც რამდენიმე კიბეს აივლით, ერთ-ორ ოთახსაც გასცდებით და შეაბიჯებთ ფართოდ გაღებულ კარებში, მარიკა ექიმი თავის ორ ექთანთან ერთად, ღიმილითა და მშვიდი, იმედიანი თვალებით შემოგეგებათ.

ნ დღე გავატარეთ სიმწვანეში ჩაფლულ ალპურ მდელოებზე მაღალმთიან გურიაში ნაბელლავის, ჩხაკურასა და ქვაბლას ექიმების გასაცნობად. გურია ერთ დიდ კულტურულ ძეგლს წამოადგენს, მისი მინერალური წყლებით, სტუმარ-მასპინძლობით, გარემოთი და უბრალოდ იმ ხალხით, რომელთა სავიზიტო ბარათიც მისაღებია. არ აქვს მნიშვნელობა, უცნობი ხარ თუ ნაცნობი, შარაზე მიმავალს, გამვლელისგან მაინც მოგესმება - „კაი გამარჯობა!“ ბედნიერი ღიმილით.

პირველად მარიკა ექიმს, ნაბელლავის ამბულატორიაში მიმავალს, ჩოხატაურის ცენტრში შევხვდით. თითქმის 30 წელი სრულდება, რაც ნაბელლავის ამბულატორიას უცვლელი ექიმ-მასპინძელი მარიკა ჰყავს. მგზავრობისას, სხვადასხვა ისტორიისა და ექიმის მიმართ პაციენტების დამოკიდებულების თანაზიარი გავხდით.

მარიკა ექიმისა და მისი ექთნების საქმიანობის არეალი ნაბელლავი და შემოგარენი სოფლებია. სოფლები ნაბელლავის ამბულატორიიდან საკმაოდ შორსაა და პაციენტები ამბულატორიაში მისვლას ვერ ახერხებენ. მარიკა ექიმი ექთნებთან ერთად, პაციენტამდე მისასვლელ გზას კვირაში ორჯერ გადის. „ერთი სოფელი აქეთ მთაზეა, მეორე სოფელი იქით, მესამე კიდევ უფრო შორს. ჩვენ კი, ვცდილობთ ყველა ადამიანმა მიიღოს შესაბამისი სამედიცინო სერვისი, რადგან ხშირ შემთხვევაში ტრანსპორტირების საშუალება არ აქვთ და ფეხითაც ვერ გაივლიან იმ გზას, რომელიც ამბულატორიაში მოიყვანთ. სწორედ ამიტომ, ძალიან ბევრს დავდივარ ექთნებთან ერთად ფეხით, რეკორდებს ვამყარებთ“ – ამბობს მარიკა ექიმი.

სოფლის ექიმი ბევრად მეტია, ვიდრე უბრალოდ ექიმი. მის თვალებში წაიკითხავ პაციენტთან დაგვიანებულ სასწრაფოს, სტიქიის გამო ვერ მიღებულ დროულ სამედიცინო დახმარებას, კილომეტრობით დაშორებულ იმედს, თოვლში, მწვერულში, წვიმასა თუ ქარში. ყოველ მის გამოხედვაში შესამჩნევია ის ემოციები, რომელსაც თითოეული პაციენტის მიმართ განიცდის.

ზოგადად, მედიცინის არსიც ხომ ესაა, რომ სხვებს ეხმარები. თუმცა იმ დამოკიდებულებამ პაციენტების მიმართ, რაც მათთან ერთად ყოფნისას ვნახეთ და გავიზიარეთ, ნამდვილად, ყველა მოლოდინს გადააჭარბა. მარიკა ექიმმა საკუთარ კომფორტზე, შეთავაზებულ მანქანის გამოყოფაზე უარი თქვა, რადგან ამ შემთხვევაში



“

ერთი სოფელი აქეთ მთაზეა, მეორე სოფელი იქით, მესამე კიდევ უფრო შორს. ჩვენ კი, ვცდილობთ ყველა ადამიანმა მიიღოს შესაბამისი სამედიცინო სერვისი





მას 3 დღიან სამუშაო გრაფიკზე მოუწევდა გადასვლა. ეს დრო კი, პაციენტებისთვის საკმარისი არ იქნებოდა და ისევ თავისი დატვირთული გრაფიკი ამტობინა. “შეიძლება დღეში ორი პაციენტი გყავდეს, მაგრამ იმ ორისთვის იმ დღეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყოს ექიმის ვიზიტი. ვერც კი წარმომიდგენია პაციენტს ვუთხრა, რომ ხვალ ვარ სამსახურში, დღეს არა. მერე მთელი დღე უნდა ვინერვიულო იმ პაციენტზე, რამე რომ დაუმძიმდეს, სინდისის ქენჯნა მუდამ თანგდევს”.

ამბულატორიაში პაციენტები ჩივილების მიუხედავად, სახლებში მაინც ვმაცოფილნი ბრუნდებიან. იქ, ყველა პაციენტი მარიკა ექიმის ოჯახის წევრი ხდება. უშუალო, მედიდურობის გარეშე, აი, ზღაპრებში რომ გვსმენია, ხომ გახსოვთ?! საუბრით განკურნა პაციენტიო, ზუსტად მასზეა ნათქვამი. სტკივა, როგორც პაციენტს, განიცდის, როგორც პაციენტი. ერთი მთლიანობაა, თითქოს, თვითონ იყოს ის კონკრეტული მოლოდინით სავსე პაციენტი. ეს ყველაფერი კი, ემპათიის ერთი დიდი, პირდაპირი და ნათელი გამოხატულებაა.

მარიკა ექიმს ვკითხეთ, რა მოხდებოდა თუ ის რაიმე მიზეზისა და გარემოების გამო ვერ მოახერხებდა პაციენტთან მისვლას, თუ იყო ვინმე, ვინც მას შეცვლიდა, ამაზე კი ასეთი პასუხი მივიღეთ: „იციოთ, ცოტა რთულია, მაგრამ მაინც უნდა შეძლო და მოახერხო ყველაფრის მიუხედავად. ხომ ასეთ სირთულეებთან გინწევს შეჭახება? თუმცა, ამ ბუნებით და ადგილით, რომ მოინამლენი

და მართლა შეგიყვარდება, ვეღარ მიატოვებ. ეს არის სამყარო, რომლიდან წამოსვლაც აღარ გინდა”.

სოფელ ქვაბლასა და ჩხაკურაში მარიკა ექიმთან ერთად პაციენტები სახლში მოვინახულებთ. ჩვენს ფოტობიექტივში სამედიცინო პერსონალის მიმართ პაციენტები და მათი ცხოველები ერთმანეთს დიდი ნდობითა და სიყვარულით ენაცვლებოდნენ, რაც სასიამოვნო და მეტ-ნაკლებად უჩვეულო სანახავი იყო. ხშირად ამბობენ, რომ ბევრს ექიმები არ უყვარს, გასაგები მიზეზების გამო, თუმცა გურიაში ეს ამბავი პირიქით არის. მცირე დროში, ჩვენც ბევრი ისტორიის მომსწრე და ემოციის თანაზიარი გავხდით. სწორ კომუნიკაციას დიდი ძალა აქვს პროფესიონალიზმთან ერთად, რაც ექიმისთვის უმნიშვნელოვანესია. ამას, ის ამბავიც ადსტურებდა, როგორ შეძლო მარიკა ექიმმა კომუნიკაციის ნიჭით, უსაზღვრო განათლებითა და სწორი დამოკიდებულებით, მძიმე ავადმყოფების მკურნალობაზე დათანხმება. დღეს, ის ადამიანები გამოჯანმრთელების გზაზე დგანან. „რაც მეტს აიღებ საკუთარ თავზე, მეტი დატვირთვა მოდის პაციენტიდან. გენდობა და ნდობა ყველაზე საოცარი ფაქტორი იმითომ, რომ შენ უფლება არ გაქვს მათ ერთი წამითაც გაუცრუო იმედი. მაგალითად, პირად პრობლემაზე იფიქრო. ყოფილა შემთხვევა, როდესაც საკუთარი შვილი დამიტოვებია მაღალი ტემპერატურით სახლში და პაციენტთან წამოვსულვარ. მაშინ მათ უფრო მეტად ვჭირდებოდი. ასეა ექიმობა, სხვანაირად ვერ იქნები“.

ნაბელავში ამბულატორია დღის 2 საათამდე მუშაობს. მარიკა ექიმთან ერთად, ჩვენც დავასრულებთ დღე და შემდეგი შეხვედრისთვის მოვემზადებთ. რადიკალურად განსხვავებული აღმოჩნდა პაციენტებთან სახლში სტუმრობა. ექიმის ხმის გაგონებაზე ოჯახის დიდი თუ პატარა წევრი გამოდის მისასალმებლად. ექიმის პატივისცემასთან ერთად, კარგად ჩანდა მათი მასპინძლობის ტრადიციებიც. გურულებმა ნამდვილად იციან სტუმარ-მასპინძლობის ფასი. ესმით, თუ როგორ გიქციონ მათთან ერთი ვიზიტი სამუდამო, დაუვინყარ შთაბეჭდილებად. ადგილი, სადაც ყოველთვის გელოდებიან. ყველა ინტერესით გვაკვირდებოდა ფოტოკამერიან სტუდენტებს, რომლებიც მარიკა ექიმის ჩრდილად ვქცეულიყავით. ვისმენდით, ისტორიებს მარიკა ექიმსა და მისი უცვლელი თანხმლები ექთნების შესახებ. მერი ირემამდე უკვე ერთი წელია მისი უცვლელი თანამგზავრია. მარიკა ექიმამდე კი, 25 წელი ჩხაკურას საფერშლო პუნქტის ექთანი გახლდათ. აქ ერთნიშნა რიცხვებს არავინ სწყალობს, მხოლოდ ორნიშნა და თანაც საკმაოდ მოცულობით მნიშვნელობებს თუ შეხვდებით. ამბულატორიაში გავიცანით 82 წლის ლალი მეფარიშვილი, 30 წელზე მეტია მარიკა ექიმთან ერთად, ნაბელავის ამბულატორიის მცველია. ხომ გითხარით, აქ ერთნიშნა რიცხვებს არ სწყალობენ.

თავად მარიკა ექიმს სახლიდან ჩხაკურაში მყოფ პაციენტამდე, 70 კილომეტრის გავლა უნევს. ხშირ





“

პაციენტთან თუ არ მიხვედი და მოისმინე მისი ტკივილი იმ გარემოში, სადაც ის თავს კარგად გრძნობს, ისე ვერ დასვამ ზუსტ დიაგნოზს

შემთხვევაში ფეხით, ან გამვლელი მანქანის გაყოლით. ჩვენ ეს გზა მანქანით გავიარეთ. იმ დროს გავიაზრე, ჩვენთვის უცხო, მაგრამ მისთვის ნაცნობი რეალობა რომ ის, რაც ჩვენთვის ექსტრემალური ჩანს და წარმოდგენაშიც კი ადრენალინის ტალღას გვიღვიძებს, სოფლის ექიმის ყოველდღიურობას წარმოადგენს. სიმართლე გითხრათ, თავი უხერხულადაც კი ვიგრძენით, როდესაც მივხვდით, ჩვენი წასვლის შემდეგ, მას ისევ ეს რეალობა დარჩებოდა. ამბულატორიისკენ ფეხით გასავლელი კილომეტრებით გზა თოვლში, წვიმაში, ქარში, გათბობისა და სველი წერტილის გარეშე დარჩენილი. ამის არ შემჩნევა ჩვენი მხრიდან ამპარტავნობა იქნებოდა. არ ვიცით, რას შევადაროთ ამხელა სიყვარული საკუთარი საქმისა და რაც მთავარია, პაციენტების მიმართ.

საუბრის დროს ხშირად ახსენებდა „პაციენტთან თუ არ მიხვედი და მოისმინე მისი ტკივილი იმ გარემოში, სადაც ის თავს კარგად გრძნობს, ისე ვერ დასვამ ზუსტ დიაგნოზს“. მისი საქმისადმი სიყვარული ადრე ბევრ ჟურნალ-გაზეთს აღუწერია. სამუშაო პირობებიდან გამომდინარე მოიხსენიეს, როგორც “ექიმი ღია ცის ქვეშ”, რადგან არ უშინდება არანაირ სტიქიას, როდესაც იცის, რომ თუნდაც ერთი პაციენტი ელოდება.

ჩვენი მოგზაურობის მესამე დღეს სოფლები ნისლმა და მთის სუსხმა მოიცვა. შევუდექით პაციენტების მონახულებას, ამჯერად ღრუბლებს მაღლა. ყველა ოჯახი თავს იწონებდა მასპინძლობით. სუფრას ძირითადად ზაფხულიდან შემოდგომის ბუნებისკენ გარდამავალი მოსავალი ამშვენებდა, გოგრა, სიმინდი, მჭადი, მგესუმზირა, ფიჭის არაყი, რომელიც საჩუქრადაც გამოგვატანეს. ვერავინ დაემდურება გურულ ხალხს. აფასებენ ადამიანსა და ადამიანობას. თითოეულ ოჯახში ახალი ემოციე-





ბისგან ვივსებოდით, ცდილობდნენ დანაყრების გარეშე არ გავეშვით უკანა გზაზე. ვიცოდით, რომ შემდეგ პაციენტთანაც იგივე გველოდა, ამიტომ პატარა ხრიკს მივმართეთ, სუფრაზე ფონს საუბრით გავდიოდით. სუფრის ხსენებისას არ უნდა დაგვავინყდეს მთავარი, გურული ღვეზელი. დღემდე მოგვყვება ღვეზელის სურნელი დილაობით ჩვენი დიასახლისი ქეთინო, რომ გვახვედრებდა საუზმეზე.

ცივ ამინდში, ცხელი სასმელის ფონზე ვაკვირდებოდით ექიმისა და პაციენტის დამოკიდებულებას. როგორც მარიკა ექიმი იხსენებდა, თავიდან გაუჭირდათ მისი ნდობა მაცხოვრებლებს, რადგან ისეთი მნიშვნელოვანი ცვლილებებით დაინყო მოღვაწეობა, როგორცაა, ბავშვთა ასაკობრივი იმუნიზაცია, საჭირო რაციონისა და სწორი კვების დამკვიდრება. იმუნიზაციაზე ოჯახებისგან რადიკალურ უარს იღებდა, ამიტომ მათთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება და ცნობიერების ამაღლება დაინყო.

დღევანდელიობასთან შედარებით, კიდევ უფრო ცივ ოთხმოცდათიან წლებში, მარიკა ექიმი, მისი ექთანი და პატარა მაცივარი განუყრელი თანამგზავრები გახლდნენ. მაცივარი აცრისთის საჭირო პრეპარატებისთვის იყო განკუთვნილი, კარდაკარ დადიოდნენ და ყველა ბავშვს შესაბამის აცრას უკეთებდნენ. „ეს კადრი გონებაში ჩემებურად მაქვს წარმოდგენილი და არ ამომდის თავიდან სამი განუყრელი თანამგზავრი“. ფართო კადრში თოვლიანი გურიის ტყე, უკვე საღამო ხანი, ცას მუქი ლურჯი შერევიან და ორი ერთმანეთზე მიბჯენილი ქალი, პატარა მაცივართან ერთად პატარ-პატარა ნაბიჯებით მიდის დი-

“

ეს კადრი გონებაში ჩემებურად მაქვს წარმოდგენილი და არ ამომდის თავიდან სამი განუყრელი თანამგზავრი.

ნინუცი ფანგანი

დი საქმისაკენ. მათთან კომუნიკაციის დროს ჩვენც გავხდით იმ ყველაფრის მონაწილე, რაც მათ ყოველდღიურობაში უკვე 30 წელია ხდება. „ერთგვარმა სევდამ მოგვიცვა მათთან დამშვიდობების დროს. უკანა გზაზე, ფონად ჩვენი მძღოლის რადიოდან ბითლზების „Yesterday“ ისმოდა და მაინც იმ კადრზე გვეფიქრებოდა, სამ განუყრელ თანამგზავრზე თოვლიანი გურიის ტყეებში - ექიმი, ექთანი და პატარა მაცივარი“.



კონკრეტი სურები

საბა ზაქარაძე
თამაზ ოქრუაშვილი



გურული მედიკოსონალის ჯადოსნური ძალა



გურიის მთებში ჩაფლული მოჩუქურთმებული ხის სახლები, მიუვალი გზები, სილაღე, სიყვარული, წვიმა და ნისლი. ჰო თითქოს ყველას გინახავთ გურია, მაგრამ ვფიქრობთ თუ არ გაგიზიარებიათ გურულების ემოციები და გურიის სილამაზე, ჩათვალეთ, ვერ შეგიცნიათ გურული რიტმი. სტუმარმასპინძლობის ზენიტს შევხვდით ყველა სოფელში უსასრულო გზის ბოლოს, რომლის გავლაც ყოველდღიურად გვინევდა, გვხვდებოდნენ ოჯახები, რომლებისთვისაც საკმაოდ უცხო იყო ფოტოაპარატით ახალგაზრდების ხილვა, მაგრამ ხელგაშლილები შეგვიპატიჟებდნენ თავიანთ ხის სახლებში და მაქსიმალურად ცდილობენ, რომ ისე გაგვმასპინძლებოდნენ, როგორც საკუთარი ოჯახის წევრებს.

ჩვენი თავგადასავალი ჩოხატაურის რაიონის, სოფელი კოხნარიდან დაიწყო. 55 წლის ზეინაბ ექიმს განათლება ყირიმის სამედიცინო უნივერსიტეტში მიეღო. ბავშვობაში ჭადრაკში პირველობისთვის მებრძოლი ზეინაბი, ალბათ, ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ დადგებოდა დღე, როდესაც ის სოფელ კოხნარის იმედად იქცეოდა და იქ მცხოვრები თითოეული მოსახლისთვის მისაბაძი და საამაყო პიროვნება გახდებოდა. დღეს მის იმედად, ოთხი სოფელი და 1400 მაცხოვრებელია.

პაციენტები უმეტესად, შეჭირვებული ოჯახებიდან იყვნენ. ფინანსურთან ერთად, ფიზიკურადაც უჭირდათ გადაადგილება. მათი დანაოჭებული სახე, დაკოჟრილი ხელები და სევდით აღსავსე თვალები, ექიმების დანახვისთანავე სიტბოთი და იმედით ივსებოდა. არც პაციენტამდე მისასვლელი გზა იყო ადვილი. ზეინაბ ექიმს არსებული პირობების გამო, ხშირ შემთხვევაში თავისი სახსრებით უწევდა ერთი სოფლიდან მეორეში გადასვლა. მისი ყოველდღიური რუტინა მცირე საოჯახო საქ-

“

ეს ის საქმეა, რომელიც მიყვარს და აგერ უკვე ათეული წელია შემესისხლხორცა



მიანობით იწყებოდა, დღე კი - საყვარელი საქმიანობით გრძელდებოდა, ადამიანების გადასარჩენად. ზეინაბ ექიმი, ოპტიმისტურად და გულწრფელი ღიმილით ხვდებოდა ყველას ისე, თითქოს თითოეული ადამიანი წიგნის ახალი, ცარიელი ფურცელი ყოფილიყო. გური-აში გათხოვილი იმერელი ქალის დღიურ რუტინად იქცა ახალ-ახალი დიაგნოზების დასმა, მიმართვებისა და ფორმა 100-ის წერა, რაც ობიექტურად, საკმაოდ დამლღელია, მაგრამ როცა თავად მას ვკითხვთ, წარბშეუხრელად გვიპასუხა: „ეს ის საქმეა, რომელიც მიყვარს და აგერ უკვე ათეული წელია შემესისხლხორცა. ალბათ, თავიდან რომ მიწვდეს გადანყვეტილების მიღება, კვლავ ამ სფეროს ავირჩევდი, რადგან მიყვარს ადამიანების დახმარება, განსაკუთრებით კი - ჩემი გურული ხალხის“.

**სოფელ სურაბის იხალი -
პარინა აქიძი და ქეთიწო აქთანი**

კიდევ ერთი სოფელი, რომელიც ჩვენს მესსიერებაში დიდ ადგილს დაიკავებს, ცივილიზაციას მონყვეტილი, სოფელი სურები იყო. ამბულატორიამდე მისასვლელად ნახევარ საათზე მეტი გვჭირდებოდა, გზა მენყრულ ზონად მიიჩნეოდა და ექიმები ამ გზას ყოველდღე გადიოდნენ. ტრანსპორტი აქაც მთავარ პრობლემად რჩებოდა, სოფელს მხოლოდ ერთი ავტობუსი ემსახურებოდა, ისიც დღეგამოშვებით. აქ, ნამდვილ გმირებს შევხვდით, ჩვენთვის მისაბაძს და გამორჩეულ ადამიანებს.

კალენდარზე დღეებს წლები ანაცვლებდა და ოც-



დათხუთმეტი წლის თავზე სახელმწიფომ ქეთინო ექთანს და ზოგადად, სოფელ სურებს ექიმი გამოუყო. მარინა ექიმი, რომელიც პირველივე დღიდან ყველას იმედად და სიყვარულად იქცა. სოფლის ექიმები, რომ გმირები არიან ამ ფაქტს მათი სამუშაო რიტმიც ადასტურებს.

მარინა სიხარულიძე სოფლის მთავარი ექიმი იყო, ქეთინო კი - ექთანი, რომელიც სოფელ ზემო სურებში ცხოვრობდა და მთავარ ექიმს ამბულატორიაში ხვდებოდა. მარინა, სასწრაფოს ექიმადაც მუშაობდა და ხშირად, ან სმენების გადაბმაც უწევდა, ან სმენიდან ლამენათევს პირდაპირ სოფელ ზემო სურებში ასვლა. მის სახეზე ენერჯის, სიტბოს და სიყვარულის გარდა სხვა არაფერი იკითხებოდა, არც დალლა.

გურიაში ზამთარი ჯადოსნური, თუმცა მკაცრია. ალ-



ბათ, ვინო ვადრია, როდესაც პაციენტთან ექთანი თხილამურებით მიდის. კი ასეა, სოფელ სურებში, ქეთინო ექთანი, თხილამურებით მიდის პაციენტის დასახმარებლად. ქეთინოს ყველა იცნობს გურიაში.

ერთია, უყურო გარემონტებულ კლინიკას და რთულად გეჩვენებოდეს ოცდაოთხსაათიანი მორიგეობა, მაგრამ მეორეა, ასეთ პირობებში გინევდეს გამკლავება უამრავ პაციენტთან. ხშირად შემომჭადარა შუალადით ცხენზე და იარაღგადაკიდებული გასდგომია პაციენტისკენ მიმავალ გზას, მაგრამ როგორც თვითონ გვითხრა, სიამოვნებას იღებს თავისი საქმისგან. ცოტა დაუჯერებ-

ლად ჩანდა თავიდან - როგორ უნდა იღებდე სიამოვნებას, როდესაც ყოველდღე იმ საფრთხის წინაშე დგახარ მიხვალ თუ არა უვნებელი სახლამდე, რადგან სავსეა ნადირით სოფელი სურები. ერთ-ერთი პაციენტის სახლში ვიზიტისას მამაკაცმა ხელი გაიშვირა, სადღაც ათი მეტრის მოშორებით გაგვახედა და გვითხრა, აი აქ იყო რამდენიმე დღის წინ დათვი ჩამოსული. ვფიქრობ, იდეალურად აღწერს ეს ერთი წინადადებაც კი იქაური გარემოს ყოფას.

ქეთინო სოფლის ექთანი აგერ უკვე ორმოცდასამი წელია გახლავთ, მაგრამ ის მაინც არ მიიჩნევს, რომ მისია შესრულებული აქვს. „აგერ შვიდ წელში ორმოცდაათი წელი გახდება, რაც ექთანი ვარ და მხოლოდ ამის შემდეგ ჩავთვლი, რომ ცხოვრებაში რაღაცისთვის მიმიღწევია“ - გვეუბნება ქეთინო ექთანი. არადა, სოფლის მაცხოვრებლებს რომ ჰკითხოთ, ყველა გეტყვით თუ რამდენად საოცარი და ყველასთვის საყვარელია ქეთინო თავისი თავდაუზოგავი საქმიანობით. უშიშარი ქალი გახლავთ. „ოთარაანთ ქვრივი“ დღევანდელ რეალურ სამყაროში რომ იყოს ვფიქრობთ, სწორედ ის იქნებოდა. არ უშინდება არც თოვლს, არც წვიმას და ზოგადად, არანაირ ბუნებრივ სტიქიას. „ხშირად ყოფილა, რომ ზამთარში პაციენტამდე მისასვლელად თხილამურებით მომიხდა გადაადგილება“ - გვითხრა ღიმილიანი სახით ქეთინო ექთანმა. ისტორიის ამ ნაწილის მოსმენის შემდეგ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ ექიმობა უბ-



რალოდ მოვალეობა არ არის, ეს ცხოვრების მთავარი მიზანაცაა და მიზეზიც. იყო ექიმი არ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ატარო თეთრი ხალათი, რადგან აქ, ამ ადგილას, გმირობისთვის თავდადება და საქმის სიყვარულიც საკმარისია. მათთან ერთად ყოფნისას უამრავი ვითხვა გაგვიჩნდა, გვანტერესებდა თუ რა შინაგანი ძალა აჩერებდათ ექიმებს ამ ურთულეს პირობებში და პასუხი ასეთი იყო - „ჩვენ მუდმივად ვეხმარებით და ვიღებთ სიამოვნებას გაკეთებული საქმისგან“.



საჭამიასერი ვანგომელი

ლიკა კეკელიძე
სალომე მუმლაძე

საჭამიასერზე ღმერთის მოვლენილი ანგელოზი



“

ასეთი ადამიანებისთვის ექიმი გმირია, ღმერთის მოვლენილი ანგელოზი, რომელიც მათ გულისტკივილს იმედს აძლევს და მიუხედავად რთული პირობებისა, არ მიატოვებს



გურიაში, ამ ულამაზეს კუთხეში, სოფლის ექიმების ცხოვრების აღსაწერად ჩავედით. ამბის დასაწყისშივე გახარებულები ვიყავით, რადგან გააზრებული გვექონდა რამხელა ამბავი იყო, რასაც ჩვენ გავაკეთებდით. სოფლის ექიმებთან, ქალბატონ ასმათთან და ბატონ ვიქტორთან ურთიერთობამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა. გურიის მთებში ჩაფლული ვინტაჟური სახლები, მოჩუქურთმებული ჭიშკრები და გარდამავალ ამინდში ფერადი გურულები. გურიაში მოგზაურობის ამბის თხრობას საჭამიასერიდან ვიწყებთ.

სოფლის სახელწოდებაზე გურულებს სხვადასხვა ვერსია აქვთ. ერთ-ერთი - ლეგენდას უკავშირდება: იმ სერზე, სადაც ახლა სოფლის ცენტრია, ნოციერი საძოვრები ყოფილა. მგლების ხროვა თავს ესხმოდა ნახირს და იტაცებდა. ამიტომაც სოფლისთვის საჭამიასერი დაურქმევიათ. მეორე ვერსიით - შემალღებულ ადგილას დიდი ცაცხვი მდგარა. იმ ცაცხვზე კიდებდნენ თურმე ბოხჩებში გამოკრულ საგბალს ამ მინდვრებში მომუშავე გლეხები და ამიტომაც დაურქმევიათ საჭამიასერი. ჰოდა, საჭამიასერი, როგორც თემი, ქვემო ხეთისთვის, ჩომეთისთვის, მამულარისა და ვალაგონისთვის ერთგვარი ცენტრია და მის გარშემო ისევე ერთიანდებიან, როგორც სამოთხესთან დამაკავშირებელი გზები.

ცივი დილა გათენდა. სწრაფად ჩავიცვით, კიბეებზე ჩავირბინეთ და სოფელ საჭამიასერისკენ გზას გავუყევით. აქაურ ბუნებას თან ველურს, თანაც ძალიან მშვიდს, საოცარი მიზიდულობის ძალა აქვს. ამბულატორიის უკან ვირი, რომ შევნიშნეთ თვალეხი მოვიფიქვინეთ ჰო არ გვეჩვენებათქო, მაგრამ ჩვენს წინ ნამდვილად ვირი იყო. მერე თვალის არეალში დანგრეული და მიტოვებული შენობები გაჩნდა. როგორც კი ამბულატორიაში შევედით, მარცხნივ ასმათი ექიმის კაბინეტი დავინახეთ. ამბულატორიაში პაციენტების სიმრავლე იყო. აქაურები ყველაზე ხშირად, მწვავე რესპირატორულ და ქრონიკული გულ-სისხლძარღვთა დაავადებებს უჩივიან. აქვე, ასმათი ექიმი უნდა გაგაცნოთ, პროფესიით პედიატრი გახლავთ, თუმცა კადრების სიმციროს გამო სხვა მიმართულებების შეთავსებაც მოუწია. არ გეგონოთ, რომ ამბულატორიაში მთავრდება ექიმისა და პაციენტების ამბავი, არა ცხადია, ხშირად ექიმი თავად მიდის პაციენტთან.

ასმათ ექიმთან ერთად, პაციენტებს ჯერ ამბულატორიაში შევხვდით, შემდეგი ორი პაციენტი კი, მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, სახლში ვინახულეთ. მათთან მისასვლელი გზა დანახვისთანავე გასვედიანებს. სადღაც ფიქრებში შესაძლოა დაუშვათ, რომ გაბრუნდებით, მერე ფიქრშიც კი შეენინააღმდეგებით საკუთარ თავს, როცა გაიგებთ, რომ ამ გზას წვიმაში თუ დარში, ასმათი ექიმი ფეხით გადის.

ჯერ კიდევ არ იყო ექიმის სამუშაო დღე დასრულე-



ბული ერთმანეთს რომ გადაუჭურჩულეთ „როგორ დავილაღეთ“. როგორც კი ეს სიტყვები წარმოვთქვით, მაშინვე გავიფიქრეთ ასმათმა ექიმმა რა უნდა თქვასთქო. ამ მომენტში ბევრად უკეთ გავიაზრეთ თუ რამდენად გრძელია ექიმის სამუშაო დღე. მითუმეტეს, როცა არ არსებობს ტრანსპორტი, რომელიც მიგიყვანს პაციენტამდე და ამბულატორიაშიც არ არის საჭირო პირობები ადამიანის მისაღებად. ჩვენს ფოტობიოგრაფიაში, ექიმის დანახვისას პაციენტების დანალვლიანებულ და ტკივილით სავსე მზერას, იმედიანი თვალები ცვლიდნენ. უმრავლესობას გაჭირვებაში უწევს ცხოვრება და თან ჯანმრთელობის შენარჩუნება. გივი რამიშვილი, 2016 წლიდან ასმათი ექიმის პაციენტია. მისი მზერა ვიქტორ ჰიუგოს სიტყვებს მოგაგონებთ: „არსებობს ისეთი გამოხედვაც, გადამარჩინეო, რომ გვედრებათ“. ასეთი ადამიანებისთვის ექიმი გმირია, ღმერთის მოვლენილი ანგელოზი, რომელიც მათ გულისტკივილს იმედს აძლევს და მიუხედავად რთული პირობებისა, არ მიატოვებს.

უხუცესი ექიმი გურიიდან „შენი პროფესია, რომ გიყვარს სახლში ჯდომა და არაფრის კეთება უფრო ძნელია“

გურიაში ვაცი არ დადის ვიქტორ მახარაძე, რომ არ იცოდეს. არა მხოლოდ მისი პროფესიონალიზმით, არამედ არაჩვეულებრივი დამოკიდებულებით თანასოფლელებისა და პაციენტების მიმართ. უხუცესი ექიმი ყველას იმედიან. სოფელ ვანზომლეთში დგას მისივე ამეწეული, ხის პატარა ამბულატორია, სადაც ყოველდღიურად ხდება პაციენტების მიღება. მის ამბულატორიაში მისასვლელი გზა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ვინრო სავალ მოხრეშილ გზაზე გვეგონა, რომ მანქანის საბურავი გვიმტყუნებდა. საბედნიეროდ, კარგად მივედით. ამბულატორიას, რომელიც ზღაპრის კეთილი გმირის საცხოვრებელს ჰგავს, მხოლოდ ორი ოთახი აქვს. ამბულატორიის ერთ ოთახში ექთანს მის, ხოლო მეორეში თავად ექიმი. ბატონი ვიქტორი თავად აღნიშნავდა, რომ მისთვის ასაკიდან გამომდინარე, არ არის მარტივი ეს საკმაოდ მძიმე, ყოველდღიური შრომა, თუმცა მისი თქმით „შენი პროფესია, რომ გიყვარს სახლში ჯდომა და არაფრის კეთება უფრო ძნელია“. გარეთ ბევრი ხალხი ტრიალებდა, როგორც კი დაგვინახეს გურული იუმორი მოიშველიეს კომუნიკაციისთვის: „შენ ბიძია ნამეტანი „შუსტრი“ ხარ თბილისელისთვის, გურული იქნები“. სახე გამეხადრა და თანხმობის ნიშნად გავუღიმე, როგორც გურულებს გვჩვენებდა.

საოცარი გამოცდილება იყო ვიქტორ ექიმთან კომუნიკაცია. უხუცესი კოლეგა გურული იუმორით ჩვენს გაკ-



შენ ბიძია ნამეტანი „შუსტრი“ ხარ თბილისელისთვის, გურული იქნები

ლიკა კეკელიძე



ვირვებს ასერხებდა. „ტელევიზორს სწავლობთ ახლა? ისწავლეთ. უცხად, რაღაც, რომ დაგავინცდეთ ტელევიზორს ჩართავთ და მალევე იპოვნით, ახალ ინფორმაციას გაიგებთ“. მიუხედავად გურულობისა, თავიდან დავიბენი, მერე მივხვდი კომპიუტერზე საუბრობდა. მესიამოვნა, ვიგრძენი რომ დღემდე განვითარებას ცდილობდა, მაგალითი იყო იმ ფრაზის, რომ ექიმისთვის სწავლა სიკვდილამდე გრძელდება. ექიმი ვიქტორი ცხოვრების სევდას ატარებდა, თუმცა ამას საქმიანობაში ვერ შეატყობდით. პაციენტებს მუდამ გაღიმებული ხედებოდა. ყველას უყვარს მასთან მოსვლა, თბილ და მყუდრო გარემოში. არაფერს იშურებდა, რომ პაციენტებისთვის დახმარება აღმოეჩინა. პროფესიული საქმიანობის ბევრ წელს ითვლიდა და ჯერ კიდევ პატარა ასაკიდან მკურნალობდა შემთხვევებს, რომლებიც თითო-ოროლა თუ ენახა სადმე. მისი საქმიანობით და დიდი ადამიანობით, მოტივაცია გახდა სხვა ექიმებისთვის. შეძლო და მათთვის უკეთესი რეალობა შექმნა, უკეთესი ამბულატორია, უკეთესი კომფორტი ვიდრე მას ჰქონდა. ვიქტორ ექიმის გაცნობისას მოჰანდას კარამჩანდ განდის – ინდოელი ადვოკატის, პოლიტიკოსის, სამოქალაქო აქტივისტისა და მწერალის სიტყვები მიტრიალებდა თავში: „საუკეთესო გზა საკუთარი თავის პოვნისთვის არის – საკუთარი თავის დაკარგვა სხვების სამსახურში“. ჰოდა, ვიქტორმა ცხოვრების მისია ღირსეულად შეასრულა, მან საკუთარი თავი იპოვა. „ექიმის ცხოვრება სულ კითხვაა, სულ სწავლა. ამ ხნის ვაცი ვარ და ისევ სულ ვკითხულობ“ – ეს ფრაზა ყოველთვის გვემხსოვრება, რომელიც ბატონ ვიქტორს ეკუთვნის. სოფლის ექიმებთან ურთიერთობამ საშუალება მოგვცა გაგვეაზრებინა ჩვენი პროფესიის მნიშვნელობა. ის, რომ რეგიონებში ასეთი ძლიერი პროფესიონალები გვყავს ნამდვილად საამაყოა. კარგი იქნებოდა ახალგაზრდა ექიმებსაც გავეჩინოთ სურვილი და შესაძლებლობა სოფლებში ცოტა ხნით მაინც გაიარონ პრაქტიკები. ვფიქრობთ, რომ პროექტი „სოფლის ექიმი“ ამ გზისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯია.

და მაინც, როგორი გმირობაა სოფლის ექიმობა, ყოველ დილას ამ რთულ გზას გაუდგება, რომელიც ავადმყოფამდე მიიყვანს. თავადაც, რომ სტკიოდეს, შეინიღებდა, საკუთარ ტკივილს დაივიწყებს და პაციენტზე გადაერთვება. საქმეს რომ მოითავებს, სიყვარულით დაემშვიდობება და შემდეგი ავადმყოფისკენ გაემუჩნება. დღის ბოლოს კი - სახლისკენ წავა. აი, როცა მამალი ისევ აყვილდება, მისი რუტინა თავიდან დაიწყება.





ფოტო: დავით ჭალოძე

ლელი ბლაგონრაჰოვა ფოტოგრაფი

სოფლის ექიმის ექვსი დღე

ფოტოგრაფია ჩვენს ფანჯარას სოციალურ სამყაროში, ფოტოგრაფის ინდივიდუალობითა და საზოგადოებრივი კავშირების დახმარებით აფართოებს. ფანჯარა რომ ფართოდ გამოვალთ და არსებული რეალობა კარგად დავინახოთ, ამისთვის ფირზე აღბეჭდილი ამბები უნდა მოვიშველიოთ. დიდ ჯაჭვში, რგოლად ჩაბმული ფირების მონაცვლეობით სოფლის ექიმის ამბავს დაინახავთ და იმ ადამიანთა მდგომარეობის კავშირს იგრძნობთ, რომლებიც ჩვენს რეალობაში განსხვავებულ ყოველდღიურობას ქმნიან.

ფოტოგრაფი ლელი ბლაგონრაჰოვა სტუდენტებს ფოტოგრაფიას ორ ათეულ წელზე მეტია ასწავლის. ერთ დღესაც, როცა სტუდენტებისთვის სასწავლო მასალას ამზადებდა ფოტოდოკუმენტალისტის უილიამ ევგენი სმიტის ნამუშევარს „სოფლის ექიმი“ გადააწყდა. სმიტმა „სოფლის ექიმი“ 1948 წელს შექმნა, სადაც კრემლინგელი (კოლორადო, აშშ) ექიმის ერნესტ კერიანის ყოველდღიურობის ისტორია აღწერა.

სმიტის ფოტოებში იხილავთ ექიმებს, რომლებიც

სხვადასხვა სნეულებას ებრძვიან. ამ ფოტოებს ლელიმე იმდენად წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ ახალი პროექტის შექმნის იდეაც გაუჩნდა.

ცხოვრებაში ხდება ისეც, რომ მნიშვნელოვანი იდეები თავისით, ბუნებრივად იზიდავს შესაბამის ადამიანებს. სწორედ ეს მოხდა ამ შემთხვევაშიც და პროექტის „სოფლის ექიმის“ განვითარებაში პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია ჩაერთო, რომლისთვისაც ტრანსდისციპლინური მიდგომა - მედიცინისა და ხელოვნების გაერთიანებით, წლებია აქტივობების ძირითად მიმართულებას წარმოადგენს.

ასე გადაეკვეთა ფოტოგრაფია და მედიცინა ერთმანეთს. მედიცინის სტუდენტებს კი შესაძლებლობა მიეცათ ემსახურონ აკადემიის მისიას – საზოგადოების კეთილდღეობას.

ყველაზე მნიშვნელოვანი ამ ამბავში ის არის, რომ პროექტის მთავარი შემოქმედები აკადემიის სტუდენტები არიან, რომლებმაც თავისივე მომავალი კოლეგების



ყოველდღიური საქმიანობა ფირზე დაიტანეს. მოსმენა, დაკვირვება და ნდობის მოპოვება, რაც მნიშვნელოვნად აისახება შედეგზე ორივე პროფესიისთვის საკვანძოა. ამ პროექტით ორი პროფესიის ერთმანეთში შერწყმა მოხდა და უკვე მეორე წელია წარმატებით ხორციელდება.

- პროექტმა გვიმალაღმთიანი აჭარიდან აიღო და წარმატებით შედგა პირველი ფაზა. შესაბამისად, გამოცდილებაც უკვე არსებობდა. საინტერესოა, რატომ შეარჩიეთ გურიის რეგიონი პროექტის განხორციელების შემდეგ ეტაპად?

- ფოტოგრაფისთვის ძალიან მიმზიდველია უცნობი ადგილების გადაღება. უცნობ ადგილებში ჩემს თავს უფრო ვპოულობ, სადაც სხვადასხვა ემოციის თანხვედრაა, არა მარტო პროფესიულად, არამედ ადამიანურადაც. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა პროექტის ფარგლებში ბევრს ვმოგზაურობ მთაშიც და ბარშიც, რატომღაც ისე აღმოჩნდა, რომ გურიის მხარეში, ჩოხატაურის რაიონს ნაკლებად ვიცნობ. მინდოდა ეს მხარე მეტად შემეცნაწავლა და პროექტი ამის ფანტასტიკურ საშუალებას იძლეოდა.

- როგორ დგება თქვენსა და ჯამერის მიღმა მდგარი ადამიანების კავშირი ისე, რომ აღბეჭდილი კადრის ნახვისას უცხო თვალსაც უჩნდება განცდა, რომ იმ მომენტში მისმა თვალმა გაიხედა ობიექტივში და არა სხვამ?



- როგორც ფოტოგრაფი, ყველა ჯერზე სხვადასხვანაირად იქცევი. სხეულის ენა გვხმარება, რომ ჯამერის მეორე მხარეს მდგარი პირები ღია იყვნენ კომუნიკაციისთვის. შენზე დამოკიდებული როგორ განწყობ მათ, სანამ გადაღების პროცესი დაიწყება. ჩემს ემოციებს არ ვმაღავ, ისინიც ხვდებიან, რომ მომწონს და მათაც აინტერესებთ რა მომწონს მე მათში. დაკვირვების პროცესშია, შენც აკვირდები და ისინიც გაკვირდებიან. ამ კომუნიკაციაში ყველაზე მთავარი ნამდვილობაა, რასაც მთაში ჯერ კიდევ შეხვდებით. მე მიყვარს ადამიანები და ამას გრძნობენ. მიყვარს მთაც, ბარიც, შენობაც მათ ირ-



გვლივ. გადაღების პროცესში, როცა ხედებს ვიღებ სულ ვფიქრობ იქ რამდენი ადამიანი იდგა, ნეტა როგორ უყურებდნენ ამ ხედებს, რაზე ფიქრობდნენ... ეს პროფესიაც იმიტომ ავარჩიე, რომ ადამიანებისთვისაა.

- სანამ სტუდენტები გურიაში თავისი მომავალი კოლეგების საქმიანობას ფირზე დაიტანდნენ, მანამდე ამ პროცესს მოსამზადებელი პერიოდი ჰქონდა. რა იყო გამონწვევა, როდესაც წინა თაზაში გურიას სტუმრობდით?

- როცა გურიაში წასვლა გადავწყვიტე ძალიან ვნერვიულობდი, რადგან ამ რეგიონს როგორც აღვნიშნე არ ვიცნობდი ისე ვარგად, როგორც მაღალმთიან აჭარას. გარდა ამისა, რა ვიზუალი დამხვდებოდა არ ვიცოდი. აჭარაში ეთნოგრაფიული ნაწილი გეხმარება, რომ მეტად ავთენტური გარემო დაანახო სამიზნე აუდიტორიას. გურიაში ეს გამონწვევა იყო, რადგან სხვადასხვა რეგიონის მსგავსად, ხშირად შეხვდებით ბოლო წლების მსგავსი არქიტექტურით ნაშენ სახლებს. მინდოდა დამთვალეფრებელს მარტივად გაერჩია, რომ გადაღებული ექიმები გურიაშია. გადავწყვიტეთ, რომ ფოტოებში გარემოს ნაწილი თან ცალკე ყოფილიყო და თან სინთეზში. ამიტომ ხედებსაც მივაქციეთ ყურადღება. ამ გადაწყვეტილების მიღებაში ექიმი მარიკა ჯიქია დამეხმარა, რომელთან ერთადაც მოსამზადებელ პერიოდში გურიის მაღალმთიან სოფელ მუჭეთაში ვიმოგზაურე. როდესაც ჩვენ ამ დიდ გზას ჩემი მანქანით მივუყვებოდით, ვგრძნობდი, როგორ ღელავდა ჩემს გვერდით მჭდომი ექიმი, გზა ნამდვილად რთული იყო. გზადაგზა მარიკა ექიმი მიყვებოდა რამხელა სიამოვნებას იღებდა, როდესაც პაციენტთან მიმავალი ამ მომაჯადოებელ ბუნებას ფეხით გადიოდა. ბუნებისგან მიღებული ენერჯით კი, ყველა გამონწვევას უმკლავდებოდა. დანიშნულების ადგილზე მისული ჯადოსნურ სოფელში მოვხვდი. ამ ადგილს ზაფხულობით ის ოჯახები სტუმრობენ, რომლებიც მეცხოველეობით არიან დაკავებული. შერეული ოჯახები იყო გურულების და აჭარლების. ამ ადამიანების ცხოვრების რიტმი რადიკალურად განსხვავებულია. განცდა მქონდა, რომ დრო არ გადიოდა, ან მინდოდა რომ არ გასულიყო. ბევრი ამბავი ერთ ამბად ერთიანდებოდა. ემოციურ ნაწილში არ გეჩქარება არსად. საქმიანობას დილას ადრინადად ასრულებენ და შემდეგ სხედან, ტკბებიან, საუბრობენ, ემოციებს გამოხატავენ, კითხვებს სვამენ. შენ ხდები იმ გაზიარების მომსწრე, რომელსაც ეს ადამიანები ერთმანეთს უზიარებენ. უკან დაბრუნებულს კი გზაზე ის ნასახლარები მომხვდა თვალში, რომლებიც ისტორიას საბუხრით დარჩენილი ჰყვებოდნენ. ბევრი დანგრეული სახლი შეიძლება შეგხვდეთ, მაგრამ მისი მთავარი ცენტრი - ბუხარი ნასახლარზე მყარად დგას.

- როგორ შეარჩიეთ გურიაში გადასაღებად ექიმები?

- გურიაში გადასაღები ექიმები, თბილისის სამედიცინო აკადემიის დახმარებით შევარჩიეთ. ყველაფერ იმას, რაც ჩვენ აუდიტორიამდე მიგვაქვს, შერჩეული ექიმები განსაზღვრავენ. ისინი თვითონ წერენ ერთობლივი მუ-

შაობის დღის წესრიგს. ჩვენ მათ ბრმად მივყვებით და შესაბამისად, ვინ მოხვდება ჩვენს ფოტოობიექტივში და ვის ამბავს მოვყვებით, ეს სრულად მათზეა დამოკიდებული. ცხადია, ეს ყველაფერი მოსამზადებელი პერიოდიდან იწყება, ჩემი და მათი ურთიერთობით, პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღებიდან, განხორციელების ბოლო წუთამდე არსებული შედეგებითა თუ გამოწვევებით. ექიმებმა იციან, რომ ავთენტური ამბის გადასაღებად ჩადიან სტუდენტები და იმ რეალობის გადმოსაცემად, რაც მათი ყოველდღიურობაა. აჭარისგან განსხვავებით, გურული ექიმები ამბულატორიაში არიან. მოსახლეობას უწევს ამბულატორიაში მისვლა. აჭარაში ექიმებს მანქანა ემსახურებათ, გურიაში ასე არ არის. ექიმი თვითონ დადის თავისი ხარჯით პაციენტთან. ამიტომ, აქ ექიმებთან და ბუნებასთან ერთად, ამბულატორიებიც გადავიღეთ.

- გაჭირდა რეალობის ფირზე გადმოტანა?

- ალბათ, სტუდენტებს რეალობის გადმოტანა არ გასჭირვებიათ, რადგან არაფერი იმალებოდა ამ კადრების უკან. მაინც მგონია, რომ თითქოს დანაკლისის განცდა მქონდა, როცა დავბრუნდი. არა იმიტომ, რომ სტუდენტებმა სრულად ვერ გადაიღეს ან ვერ დაასრულეს, გადაიღეს ცხადია, მაგრამ ეს დანაკლისის გრძობა მაინც მქონდა.

- რა იყო ის დანაკლისი, რაც ფირმა ვერ დაიტია?

- ადამიანებთან შეხვედრა უკვალოდ არ მიდის. მინდა, რომ ფირზე დატანილი ამბები ამ ადამიანებისთვის სამომავლოდ, ხელშესახები ცვლილებები იყო. ჩვენი დაკვირვებით ამ რეგიონს მეტი ყურადღება სჭირდება და ეს



პროექტიც სწორედ ამ ყურადღების ამსახველია.


- დღეს, აქ და ახლა, პროექტი შედგა ისე, როგორც საწყისებზე ჩაიფიქრეთ?

- პროექტის განხორციელების შემდეგ უკვე მეორედ, ამ რეალობიდან თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს პროექტი შედგა და იმაზე საინტერესო შედეგი მოიტანა, ვიდრე ეს იყო ჩანაფიქრისას.

- იგეგმება თუ არა პროექტის განხორციელება სხვა რეგიონშიც და რა ფორმატით გაგრძელდება პროექტი?

- პროექტი უფრო მრავალფეროვანი გახდება. ვფიქრობთ, რომ პროექტის განხორციელების მესამე ეტაპში რამდენიმე რეგიონს მოვიცავთ. თუკი აქამდე, ექვსივე სტუდენტი ერთ რეგიონს სტუმრობდა, ამ შემთხვევაში სხვადასხვა რეგიონში წავლენ და შემდეგ გაუზიარებენ ამ რეგიონების ისტორიას ერთმანეთს. ამ ფორმატით უფრო მეტი სოფლის ექიმის ამბავს მოვყვებით და მათ გმირულ საქმიანობას გავაცნობთ საზოგადოებას.





www.tma.edu.ge



www.tma.edu.ge/publichealth